დანართი №3. სამეცნიერო-კვლევითი პროდუქციის კლასიფიკაცია

1. სტატია ჟურნალში

1.1 იმპაქტ-ფაქტორის მქონე სამეცნიერო სტატია, რომელიც ინდექსირებულია ტომსონ როიტერის Web of Science-ის მიერ; სამეცნიერო სტატია გამოქვეყნებული ჟურნალში, რომელიც აღიარებულია ERIH-ის (European Reference Index of the Humanities) მიერ;

1.2 სამეცნიერო სტატია, რომელიც ინდექსირებულია ტომსონ როიტერის Web of Science, Scopus, SCImago Journal & Country Rank, ResearchGate-ის მიერ;

1.3 რეცენზირებული (Peer-reviewed) სამეცნიერო სტატიები სხვა საერთაშორისო ჟურნალებში*, რომლებსაც აქვთ ISSN კოდი და ჰყავთ საერთაშორისო სარედაქციო საბჭო, ასევე რომლებიც ვრცელდება საერთაშორისო მასშტაბით და არის ღია საერთაშორისო კონტრიბუციისთვის; უცხოეთში გამოცემული ყველა სამეცნიერო სტატია, რომლებიც ინდექსირებულია Google Scholar-ში; Google Scholar-ში ინდექსირებული საქართველოში გამომავალი სამეცნიერო სტატია - გამოქვეყნებული ისეთ სამეცნიერო გამოცემაში, რომელიც შედის ფაკულტეტის საბჭოს მიერ დამტკიცებულ ნუსხაში;

1.4 ქართველოლოგიურ დარგებში მოღვაწე აკადემიური პერსონალისთვის რეცენზირებული სამეცნიერო სტატიები გამოქვეყნებული ქართულ სამეცნიერო ჟურნალებში*, რომელთაც ჰყავთ ადგილობრივი სარედაქციო საბჭო და აქვთ ISSN კოდი.

2. წიგნი/მონოგრაფია

2.1 მაღალრეიტინგული რეცენზირებული (საერთაშორისო რეცენზირების მქონე Peer-reviewed) სამეცნიერო მონოგრაფია უცხო ენაზე (მათ შორის ლექსიკოგრაფიული, წყაროთმცოდნეობითი, ტექსტოლოგიური, მთარგმნელობითი კვლევების ამსახველი მონოგრაფია), რომელიც ინდექსირებულია Scopus, SCImago Journal & Country Rank, ResearchGate-ის მიერ;

2.2 ქართულენოვანი ან სხვა ენაზე შესრულებული, რეცენზირებული (რეცენზირების მქონე Peer-reviewed) მონოგრაფია (მათ შორის ლექსიკოგრაფიული, წყაროთმცოდნეობითი, ტექსტოლოგიური, მთარგმნელობითი კვლევების ამსახველი მონოგრაფია) *.

3. სტატია საკონფერენციო მასალებში/თავი წიგნში, ან კრებულში

3.1 სტატიები/თავები წიგნში, საკონფერენციო მასალებში ან კრებულში, რომლებიც ინდექსირებულია ტომსონ როიტერის Web of Science-ის ან Scopus-ის საკონფერენციო მასალების ციტირების ინდექსით;

3.2 სტატიები/თავები წიგნში, საკონფერენციო მასალებში ან კრებულში, რომლებიც ინდექსირებულია Google Scholar-ში.

4. გამოქვეყნებული სამეცნიერო სემინარების/შეხვედრების თეზისები

4.1 საკონფერენციო თეზისები, ინდექსირებული ტომსონ როიტერის Web of Science-ის ან Scopus-ის მიერ;

4.2 საკონფერენციო თეზისები, ინდექსირებული Google Scholar -ის მიერ.

* საქართველოში გამოცემული სამეცნიერო პუბლიკაციების შემთხვევაში, შესაძლებელი უნდა იყოს კონკრეტულ პუბლიკაციაზე უნივერსიტეტის მოთხოვნის არსებობისას რეცენზიების წარმოდგენა.